ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ასევე მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **2025** წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა(დამტკიცებული)	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	42 646.3	**42 790.7**	**40 275.4**
გადასახადები	13 352.5	**13 352.5**	**13 314.6**
გრანტები	26 882.6	**27 027.0**	**24 615.1**
სხვა შემოსავლები	2 411.2	**2 411.2**	**2 345.7**
ხარჯები	23 749.4	28 054.8	**22 446.4**
შრომის ანაზღაურება	11 281.5	11 299.7	**11 286.4**
საქონელი და მომსახურება	7 036.7	7 109.4	**6 523.0**
პროცენტი	16.1	16.1	**16.1**
სუბსიდიები	538.4	538.5	538.5

გრანტები	0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1 240.1	1 255.4	1 232.2
სხვა ხარჯები	3 636.6	7 835.7	2 850.2
საოპერაციო სალდო	18 896.9	14 735.9	17 829.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	20 018.4	15 857.4	14 918.2
ზრდა	21 908.4	17 747.4	16 778.5
კლება	1 890.0	1 890.0	1 860.3
მთლიანი სალდო	-1 121.5	- 1121.5	2 910.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 246.0	**-1 246.0**	**2 786.4**
ზრდა	0	**0**	**4 032.4**
ვალუტა და დეპოზიტები		**0**	**4 032.4**
კლება	1 246.0	**1 246.0**	**1 246.0**
ვალუტა და დეპოზიტები	1 246.0	**1 246.0**	**1 246.0**
ვალდებულებების	- 124.5	**-124.5**	**-124.4**
ზრდა			**-**
საგარეო			**-**
საშინაო			**-**
კლება	124.5	**124.5**	**124.4**
საგარეო			**-**
საშინაო	124.5	**124.5**	**124.4**
ბალანსი	0	**0**	**0**

2025 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 1 246.0 ათას ლარს, ხოლო 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 4 032.0 ათასი ლარი. მათ შორის: საბიუჯეტი სახსრებით 248.2 ათასი ლარი, ხოლო განკარგულებებით 3 784.2 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა(დამტკიცებული)	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	**44 536.3**	**44 680.7**	**42 135.7**
შემოსავლები	**42 646.3**	**42 790.7**	**40 275.4**
არაფინანსური აქტივების კლება	**1 890.0**	**1 890.0**	**1 860.3**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**-**		**-**
გადასახდელები	**45 782.3**	**45 926.7**	**39 349.3**
ხარჯები	**23 749.4**	**28 054.8**	**22 446.4**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**21 907.4**	**17 747.4**	**16 778.5**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**-**		**-**
ვალდებულებების კლება	**124.5**	**124.5**	**124.4**
ნაშთის ცვლილება	**- 1246.0**	**- 1 246.0**	**2 786.4**

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 926.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 43 381.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94.4 %.

I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 42 790.7 ლარი ფაქტიურად 40 275.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 94.1 % შეადგინა

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 13 314.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 13 352.5 ათასი ლარის 99.7 %-ს შეადგენს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 547.1 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 2 550,0 ათასი ლარის 99.9 %- შეადგენს. ხოლო

დამატებითი ღირებულების გადასახადი 10 767.5 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 10 802.5 ათასი ლარის 99.7 %-ს შედგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 24 615.1 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 27 027.0 ათასი ლარი(99.1 %) მათ შორის: **გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან _ 24 535.7** ათასი ლარი; **მათ შორის:**

მიმდინარე 7 275.7 ათასი ლარი; მათ შორის: სპეციალური 2 000 ათასი ლარი, მიზნობრივი 1 675.3 ათასი ლარი; მიმდინარე სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 600,4 ათასი ლარი; **კაპიტალური 17 260.0** ათასი ლარი; მ/შორის; სპეციალური ტრანსფერი 3 453.9 ათასი ლარი, კაპიტალური 13 085.8 ათასი ლარი და 720,3 ათასი ლარი სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხოლო

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 79,4 ათასი ლარი

III სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 2 411.2 ათასი ლარი, შემოსულია 2 345.7 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 97.3 %-ს შეადგენს.

შემოსავლები საკუთრებიდან: 1 819.9 ათასი ლარი; მ / შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 14.0 ათასი ლარი, დივიდენდები-0 ათასი ლარი

რენტის სახით მობილიზებულია 1 805.9 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 722.0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 83.9 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 76.7 ათასი ლარი.მ/ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 75.5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 63.7 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 11.9 ათასი ლარი.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 1.1 ათასი ლარი.

<u>ჯარიმებიდან და საურავებიდან</u> მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 357.0 ათასი ლარი შეადგინა.

<u>ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 92.1 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 53.0 ათასი ლარი, სხვა მიმდინარე შემოსავალი, რომელიც ფულად შემოწირულობებსმოიცავს 35.0 ათასი ლარი და წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 4.1 ათასი ლარი.

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 1 860.3 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 240.0 ათასი ლარი მიღებულია შენობა- ნაგებობების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 1 620.3 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 45 926.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 39 349.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85.7 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 299.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 11 286.4 ათასი ლარი. რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 1 171.3 ათასი ლარი
2. მერია : შრომის ანაზღაურება 2 891.4 ათასი ლარი
3. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

   შრომის ანაზღაურება 99.7 ათასი ლარი
4. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

   შრომის ანაზღაურება 649.7 ათასი ლარი
5. მწვანე ნარგავების მოვლა-პარტონობა:

   შრომის ანაზღაურება 62.0 ათასი ლარი
6. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

   შრომის ანაზღაურება 2 745.0 ათასი ლარი
7. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 3 509.4 ათასი ლარი
8. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 157.9 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 7 109.4 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 6 523.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.7 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1 652.7 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 21.2 ათასი ლარი; მ/ შორის ქვეყნის გარეთ 1.1 ათასი ლარი; ქვეყნის შიგნით 20.1 ათასი ლარი.
- ✓ ოფისის ხარჯები - 1 127.0 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 45.8 ათასი ლარი, მერია 98.4 ათასი ლარი, მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა. საზოგადოების ინფორმირება 22.8 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 515.9ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა 61.3 ათასი ლარი, განათლება 288.4 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 80.0 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა 13.5 ათასი ლარი.
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 98.2 ათასი ლარი;

კვების ხარჯები 315.5 ათასი ლარი

სამედიცინო ხარჯები 9.3 ათასი ლარი

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 18.7 ათასი ლარი.

- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 2 318.8 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 170.2 ათასი ლარი; მერია 318.9 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 70.0 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა 473.9 ათასი ლარი; განათლება 1 191.1 ათასი ლარი; სპორტი, კულტურა, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 88.2 ათასი ლარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვა 6.5 ლარი .

სხვადანარჩენი საქონელი და მომსახურება-- 961.6 ათასი.

,,**პროცენტების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 16.1 ათასი ლარი შეადგინა.(100 %)

„**სუბსიდიების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა

538.5 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 538.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 100 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- განათლების ხელშეწყობა - 45.0 ათასი ლარი;
- კულტურა სპორტი,ახალგაზრდული, გენდერული ღონისძიებები -125.0
- რელიგია--10,0
- სოციალური პროგრამების თანადაფინანსება - 358.5 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 255.4 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 232.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.2 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- დაკრძალვის ხარჯი --0.5 ათასი ლარ;
- ლტოლვილთა დახმარება - 10.0 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 21.6 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 801.6 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 356.2 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 3.8 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 19.5 ათასი ლარი, ხოლო

ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 19.0 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 7 835.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 850.2 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 36.4 %ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკრებულოს ხარჯები ---172.2 ათასი ლარი

მერია -- 188.4 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--11.8 ათასი ლარი

საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების შეძენა --15.0

- სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 934.6 ათასი ლარი.

--განათლება --12.8 ათასი ლარი

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 73.0 ათასი ლარი;

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 1 160.2 ათასი ლარი;
  საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება--2.9 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 2.1 ათასი ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების დახმარება --277.0 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა --0.2 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლების მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 124.4 ათასი ლარია ანუ 50 %.

2025 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	6 883.1	6 179.8
7.20	თავდაცვა	0.0	0.0
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	20 272.5	16 869.7
7.50	გარემოს დაცვა	2 214.5	2 191.1
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	844.9	803.1
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	190.8	190.8
7.80	-დასვენება და კულტურა,	5 147.6	5 138.6
7.90	განათლება	5 599.0	5 237.2
7.10	სოციალური დაცვა	4 774.3	2 739.0
	სულ ჯამი	**45 926.7**	**39 349.3**

სარეზერვო ფონდი

2025 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 266.3 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 264.5 ათასი ლარი(99.3 %)

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა;

3. განათლება;

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

2. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** დაფინანსებულია 17 672.8 ათასი ლარით რაც გეგმის (21 097.4 ათასი ლარი) 83.8 პროცენტია;

2.1 (02 01) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 12 135.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (12 238.6 ათასი ლარი) 99.2 %-ს შეადგენს.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდეა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში შავაძეების უბანში გზის სავალი ნაწილის ბეტონის საფარით მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში ს. ბერძენიშვილის მიმართულებით ა/ბეტონის საფარის მოწყობა. სოფელ საყვავისტყეში (პაიჭაძეების მიმართულება) საავტომობილო გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა. სოფელ ჯვარცხმაში თავბერიძეების უბანსი შიდა გზების რეაბილიტაცია. სოფელ შუა ამაღლებაში ჯიბუტების (მერე) უბანში გზის რეაბილიტაცია. ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეული სოფელ ვანის ცენტრიდან ჯიხეთის სამონასტრო კომპლექსისკენ ბეტონის გზის მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გოგოლესუბანში სიხარულიძის უბანში გზის სავალ ნაწილზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, ზემოხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლიდან საჭამიასერის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბუკნარში დოლიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალშენში (ლორიების და ცენტერაძეების) უბანში

გზის რეაბილიტაცი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. დაბლაციხეში ადმინისტრაციული შენობიდან ცენტრალურ გზამდე გზის რეაბილიტაცია. სოფ. ახალშენში ლომთათიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია. სოფ. საჭამიასერში პაატა ეზიეშვილის მიმართულებით გზის სავალი ნაწილის მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ბუკნარის ცენტრიდან ქვენობნის ცენტრამდე ა/ბეტონის საფარის მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ბახმაროს ადმინიტრაციულ ერთეულში ჩოხატაურის ქუჩაზე საავტომობილო გზის მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ჩოხატაური-გუთური-ქვემო ერკეთი - ერკეთის მთავარანგელოზთა დედათა მონასტერთან დამაკავშირებელი გზისა და სოფ. გუთურისა და სოფ. ქვემო ერკეთის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სავალი ნაწილის მოწყობის სამუშაოები. მაჩაქის გზის რეაბილიტაცია. გუთურში სიმონიშვილების უბანში გზის საფარის მოწყობა.

-

- **2.2 (02 02) გარე განათება** დაფინანსდა 803.1 ათასი ლარით, რამაც გეგმის (844.9 ათასი ლარი) 95.0 პროცენტი შეადგინა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; მოწყობილია გარე განათების ახალი სანათები და გაზრდილია გარე განათებით უზრუნველყოფილი გზების მონაკვეთი. განხორციელდა გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი ელ. ენერგიის ხარჯის გადახდა.

2.3 (02 03) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 230.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (278.4 ათასი ლარი) 82.8 %.

პროგრამის ფარგლებში მოხდა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ხორციელდება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გარემოს შექმნა. . ქვეპროგრამის ფარგლებში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით განხორციელდა შემომზღუდავი დეკორაციული ღობეების მოწყობა, სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხითმოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. მოეწყო შემდეგი პარკები და სკვერები: დაბა ჩოხატაურში მუხების უბანში , 9 აპრილის , ანა კალანდაძის , ნოდარ დუმბაძის, მდინარე ორპირას , კრიმანჭულის, ხიდისთავის, ბახმაროს და ნოე რამიშვილის.

2.4 (02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

ამ მიზნით გამოიყო სულ 731.4 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 729.3 ათასი ლარი.(99.7 %)
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (საერთო კრებაზე) მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად და მოსახლეობასთან შეთანხმებით შერჩეული პროექტების დაფინანსება.

2.5 (02 05) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა დაფინანსდა 77.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 82.8 ათასი ლარის 93.2 % ია.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა 2025 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.6 (02 06) სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2025 წლის განმავლობაში 3 574.9 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 6 692.0 ათასი ლარის 53.0 %.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.7 (02 09) საზედამხედველო და საპროექტო დოკუმენტაციის შემენა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიყო სულ 229.3 ათასი ლარი. პროგრამა დაფინანსდა 122.7 ათასი ლარით (53.5 %)

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

3.1.პროგრამა დაფინანსდა 2 191.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 2 214.5 ათასი ლარის 98.9 % ია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვება და გატანა. ა(ა)იპ „ჩოხატაურის სერვის ჯგუფი“ ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ჩატარდა მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. განხორციელდა დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები.

განათლება 04 00

4. განათლების ღონისძიებები დაფინანსებულია 5 237.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (5 599.0 ათასი ლარი) (93.5 %)მათ შორის განხორციელდა შემდეგი სახის ქვეპროგრამები:

4.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას მოხმარდა 3 456.9 ათასი ლარი.(04 01)გეგმის 3 461.6 ათასი ლარის 99.9 %

საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემო შეიქმნა, უზრუნველყოფილი იქნა მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა.

მუნიციპალიტეტში ამ დროისათვის ფუნქციონირებდა 22 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებდა 600მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

4.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის(04 02) გაიხარჯა 1 216.3 ათასი ლარი. მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

4.4 საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია(04 05)
დაფინანსდა 245.3 ათასი ლარით, გეგმის 444.6 ათასი ლარის 55.2 %

ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო საჯარო სკოლა. განხორციელდა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესება სოფელ გოგოლესუბნის, ამაღლების, ქვენობანის, ფარცხმის, ჩხაკაურას და დაბლაციხის საჯარო სკოლებში.

საბავშვო ბაღების მშენებლობა- რეაბილიტაცია (04 06) დაფინანსდა 316.2 ათასი ლარით.

სოფელ საჭამიასერის, ზემო სურების, ერკეთისა და ბუკნარის საბავშვო ბაღებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებები.

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (04 05) დაფინანსდა 2.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 4.5 ათასი ლარის 55.5 % -ია.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება დაზუსტებული გეგმით შედგენდა 5 168.6 ათას ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 139.6 ათასი ლარი(გეგმის 99.4 %)

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 1 954.9 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.
პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა უზრუნველეყოთ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდა ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო“. სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, განხორციელდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში სპორტული მოედანის, სოფელ ქვენობანში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა 3 144.2ათასი ლარით.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდა კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი.

რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის მიზნით გაიხარჯა 10,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა;

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანოზაციული უზრუნველყოფაზე გაიხარჯა 20.0 ათასი ლარი; რაც გეგმის 25.0 ათასი ლარის 80.0 % -ია.

ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობაზე გაიხარჯა 1.0 ათასი ლარი, გემის 1.0 ათასი ლარის 100 %- ი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გაიხარჯა 9.5 ათასი ლარი (გეგმის 9,5 ათასი ლარის 100 %)

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 3 193.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (5 230.4 ათასი ლარი) 61.0 %-ია.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით პროგრამების ფუნქციების საკასო შესრულებამ შეადგინა 190.8 ათასი ლარი .

პროგრამა ითვალისწინებს საბიუჯეტო და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები კერძოდ:

- ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა.
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

სოციალური პროგრამები დაფინანსდა 3 002.5 ათასი ლარით.

პროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. მოხდა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებმაც მთლიანობაში უზრუნველყვეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დაკრძალვის ხარჯი (06 02 01) დაფინანსდა 0.5 ათასი ლარით.

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03) დაფინანსდა 1 160.2 ათასი ლარით.

ქვეპროგრამით გათვალიწინებული დახმარება გაეწია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის მოხდა 46 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფა .

ლტოლვილთა დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 04) დაფინანსდა 10.7 ათასი ლარით

ქვეპროგრამით დახმარება მიეცა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შეძენაზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 400(ოთხასი) ლარისა.

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის

დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05) დაფინანსდა 28.6 ათასი ლარით

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი. აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი, სულ 2800 ლარი.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: 803.7 ათასი ლარით

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის საკვების შე ძენა

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 200 000 - მდეა სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

18 წელს ზევით ასაკის შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული, ეპილეფსიითა და ცერემბრლური დამბლით დაავადებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა სამედიცინო სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება;

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა დახმარება;

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება);

0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა ლოგოპედის სამედიცინო მომსახურება.

2-დან 16 წლამდე ბავშვების აუტიზმის სპრექტის მოშლილობა, სტიკური კვლევების დაფინანსება.

სოციალურად დაუცველი 0- დან 250 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირების ძვირადღირებული კვლევა (კომპიუტერული ტომოგრაფია) თანადაფინანსება

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები (633.0 ათასი ლარით)

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება;

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება;

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება;

ხანდაზმულ პირთა დახმარება;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი);

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა პატრონაჟისა და მონიტორინგისათვის ფინანსური დახმარება თანადაფინანსების სახით.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა (06 02 08) 7.4 ათასი ლარით

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება.

სოციალური პრობლემების და კულტურულ- საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამები (06 02 09) დაფინანსდა 358.4 ათასი ლარით. დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი);

დაფინანსდა წითელი ჯვარი;

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა.

გამარჯვებულ ქალთა კლუბის ფინანსური დახმარება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 12 თვეში ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	12 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6 616.8	5 915.3
2	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	12 238.6	12 135.1
3	02 02	გარე განათება	844.9	803.1
4	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	278.4	230.5
5	02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	731.4	729.3
6	02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო	82.8	77.2
7	02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	6 692.0	3 574.9
8	02 09	ზედამხედველობა	229.3	122.7
9	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 214.5	2 191.1
10	04 00	განათლება	5 599.0	5 237.2
15	05 00	კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული, გენდერი, რელიგია	5 168.6	5 139.6
21	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	190.8	190.8
22	06 02	სოციალური პროგრამები	5 039.6	3 002.5
		სულ	**45 926.7**	**39 349.3**

ა(ა)იპ სერვის ჯგუფი -ის ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება(გარე განათება)	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**237.9**	**236.8**
ხარჯები	237.9	236.8
შრომის ანაზღაურება	100.8	99.7
საქონელი და მომსახურება	137.1	137.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**575.6**	**571.9**
ხარჯები	575.6	571.9
შრომის ანაზღაურება	530.6	530.6
საქონელი და მომსახურება	41.6	37.9
სოციალური უზრუნველყოფა	0.8	0.8
სხვა ხარჯი	2.6	2.6

ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები (ათასი ლარი)		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**1 886.6**	**1 878.8**
ხარჯები	1 881.5	1 873.7
შრომის ანაზღაურება	1 184.4	1 180.6
საქონელი და მომსახურება	671.4	667.4
სოციალური	0.0	0.0
სხვა ხარჯი	25.7	25.7

არაფინანსური აქტივების ზრდა	5.1	5.1

ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**696.3**	**693.6**
ხარჯები	693.1	690.4
შრომის ანაზღაურება	590.0	590.0
საქონელი და მომსახურება	98.1	95.4
სოციალური	5.0	5.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3.2	3.2

ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**857.5**	**856.7**
ხარჯები	853.8	853.0
შრომის ანაზღაურება	779.7	778.9
საქონელი და მომსახურება	58.6	58.6
სხვა ხარჯი	14.7	14.7
სოციალური	0.8	0.8
არაფინანსური აქტივი	3.7	3.7

ა(ა)იპ ს.ს.ს. დაწესებულება „მომავალი" ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**3 461.7**	**3 456.9**

ხარჯები	3 399.1	3 394.3
შრომის ანაზღაურება	2 745.0	2 745.0
საქონელი და მომსახურება	632.7	628.0
სოციალური უზრუნველყოფა	11.0	11.0
სხვა ხარჯი	10.4	10.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	62.6	62.6

ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრი -ს ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**190.8**	**190.8**
ხარჯები	185.2	185.2
შრომის ანაზღაურება	158.0	158.0
საქონელი და მომსახურება	25.8	25.8
სოციალური უზრუნველყოფა	1.4	1.4
არაფინანსური აქტივები	5.6	5.6

საფეხბურთო კლუბი „ბახმარო"-ს ბიუჯეტის 2025წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**369.6**	**369.2**
ხარჯები	369.6	369.2
შრომის ანაზღაურება	236.7	236.7
საქონელი და მომსახურება	132.9	132.5
სხვა ხარჯი	0	7.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	1.2

ა(ა)იპ სარაგბო კლუბი „ღონე“-ს ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**224.7**	**222.7**
ხარჯები	224.7	222.7
შრომის ანაზღაურება	194.5	192.6
საქონელი და მომსახურება	21.2	21.1
სხვა ხარჯი	9.0	9.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0

ა(ა)იპ სერვის ჯგუფი -ის ბიუჯეტის 2025 წლის მაჩვენებლები		
დასახელება(დასუფთავება და გარემოს დაცვა)	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**2 214.5**	**2 191.1**
ხარჯები	2 208.1	2 186.9
შრომის ანაზღაურება	714.6	711.6
საქონელი და მომსახურება	1 493.5	1 475.3
სხვა ხარჯი	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6.4	4.2

პატივისცემით,

საფინანსო საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: /მ. გოგოლაძე/